ახალი უნივერსიტეტი

85

20 ივლისი, პარასკევი, 2012 წ. №10

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

შეხვედრა თსუ-ში დასაქმებულ სტუდენტებთან

20 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეები შოთა ნიჟარაძე და ნოდარ სურგულაძე პროექტის „სტუდენტთა დასაქმების პროგრამა საზაფხულო არდადეგებზე“ („Summer Job“) ფარგლებში თსუ-ში დასაქმებულ სტუდენტებს შეხვდნენ. პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტით თსუ-ში 490-მდე სტუდენტი დასაქმდა ბიბლიოთეკასა და არქეოლოგიურ ექსპედიციაში. დასაქმებულ სტუდენტებს პირველი სამუშაო დღე ჰქონდათ თსუ-ის ბიბლიოთეკაში. ასევე, ერთი ჯგუფი გაემგზავრა კახეთში, მელაანში არქეოლოგიურ გათხრებზე სამუშაოდ.

20 ივლისიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი „SUMMER JOB"-ი ამოქმედდა

„Summer Job“-ში მონაწილეობა საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს შეუძლიათ.

პროექტის ფარგლებში ოცდახუთი ათასი სტუდენტი დასაქმდება და მათი ხელფასი 500 ლარი იქნება.

სტუდენტები 70-მდე სფეროში დასაქმდებიან, კერძოდ: სახელმწიფო დაწესებულებებში, ბიზნესის და არასამთავრობო სექტორებში, იურიდიულ კომპანიებში, მუზეუმებში, საავადმყოფოებში, თვითმმართველობის ორგანოებში და ა.შ. საპრეზიდენტო პროექტში სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორია ჩართული.

პროექტი „Summer Job“ გამიზნულია იმისათვის, რათა სტუდენტებმა კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება შეძლონ. გამომუშავებული თანხით კი საკუთარი სწავლა დააფინანსონ ან შემეცნების, მოგზაურობის, დასვენებისთვის და ა.შ. საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენონ.

ამგვარი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში.

პროექტი „Summer Job“ 20 აგვისტოს დასრულდება.

საზოგადოებრივ თემებზეც უკვე ვფიქრობ

გვ. 5

მცდელობა ადამიანების სიტყვით განკურნებისა

გვ. 6

სექტემბრიდან ყველა სტუდენტი დაეზღვევა

გვ. 3

„სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები და ქართულ-ჩერქეზული ეკო-კულტურული გარემო“

გვ. 2

თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონია

გვ. 2

ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია

გვ. 4

შეუფასებელი ამაგი

გვ. 7

მულტიმედიის ცენტრი — იდეების ლაბორატორია

ლელა კვანტალიანი

საუნივერსიტეტო სივრცეში მულტიმედიის ცენტრი შეიქმნა, რომელსაც ცნობილი ჟურნალისტი და პროდიუსერი, თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე უხელმძღვანელებს. როგორც ცენტრის დებულებაშია მითითებული, სტუდენტთა ცხოვრებაში მულტიმედიის ცენტრს განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრება შეუძლია, ვინაიდან იგი, პირველ ყოვლისა, იქნება მათი დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსი.

მულტიმედია ცენტრი, ძირითადად, მოიცავს ინტერნეტ-ტელევიზიის, ინტერნეტ-რადიოს, ინტერნეტ-გაზეთის/ჟურნალისა და სოციალური მედიის ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

მულტიმედია ცენტრის მიზნები და ამოცანებია: ცენტრის რესურსის ჩართვა უნივერსიტეტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესში სწავლების თანამედროვე და ეფექტური შესაძლებლობების გამოყენების მიზნით; მეცნიერების სფეროებში მიმდინარე თანამედროვე პროცესების საერთაშორისო სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის ხელშეწყობა; უნივერსიტეტის ცხოვრებისა და ისტორიის გაშუქება; მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციის ხელშეწყობა; უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (სალექციო

კურსებზე დაფუძნებული მედიაპროდუქციის შექმნა, სამეცნიერო და კვლევითი პროცესების ვიზუალიზაცია და სხვა); სტუდენტთა ჩართვა ცენტრის საქმიანობაში; თანამშრომლობა სხვადასხვა სახის მედიასაშუალებებთან; მედია არქივის შექმნა, განახლება და განვითარება; უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე რეჟისურის მიმართულების სწავლების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებაში ხელშეწყობა.

მე-3 გვერდზე

„სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები და ქართულ-ჩერქეზული ეკო-კულტურული გარემო“

12 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი „სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები და ქართულ-ჩერქეზული ეკო-კულტურული გარემო“.

თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა აღნიშნა, რომ „თსუ ყოველთვის მხარს უჭერდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების ტრადიციების შენარჩუნებას. ამის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი იყო თსუ. ამ სიმპოზიუმითაც დასტურდება, რომ საქართველო არის დიდი კავკასიური სახლის გამაერთიანებელი.“

ღონისძიების ორგანიზატორის, ჩერქეზული კულტურის ცენტრის დირექტორის, თსუ-ის პროფესორის მერაბ ჩუხუას განცხადებით — „2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად რუსეთის ფედერაციის ქალაქი სოჭი დასახელდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გახდა ერთგვარი კატალიზატორი მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ჩერქეზული დიასპორებისთვის. ოლიმპიური თამაშების ჩატარებას იმ ადგილებში გეგმავენ, სადაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩერქეზთა გენოციდი და მასობრივი იძულებითი დეპორტაცია განხორციელდა; ამ ადგილებში მრავლად ფიქსირდება გენოციდის მსხვერპლთა საფლავები და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური თუ კულტურული ძეგლები. მდგომარეობას ართულებს ის ფაქტიც, რომ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა სრულიად უგულებელყო ოლიმპიადის ჩერქეზული ეთნიკური ფაქტორი ოლიმპიადის სიმბოლიკის დონეზეც კი. სოჭში ჩატარებულ ავტოქტონურ ხალხთა კონგრესზე ჩერქეზი ერის არცერთი წარმომადგენელი არ მიიწვიეს. რუსეთის ფედერაციაში ანტიოლიმპიური მოძრაობა ტაბუდადებულია.“

ჩეჩნური დიასპორას წარმომადგენელმა ალი ბერტგეზოვმა სოჭის ოლიმპიადაზე ჩერქეზი ხალხის კანონიერი მოთხოვნების დაფიქსირებას მოითხოვა: „ჩვენ მზად ვართ მოვისმინოთ სხვადასხვა მოსაზრება ამ თემაზე, განვიხილოთ, თუ როგორ აისახება ეს ოლიმპიადა ჩერქეზ ხალხზე“.

„სიმპოზიუმი კავკასიური სოლიდარობის კიდევ ერთი დადასტურებაა. რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩნების სამართლიანი მოთხოვნები უგულებელყო. ამავე დროს, ჩვენ ერთობლივი ძალით საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას მივაწვდით მძლავრ აზრს იმისათვის, რომ მოახდინოს რუსეთზე ზეწოლა, რათა საქართველოს ბუნების განადგურების ვანდალური ქმედებები აღიკვეთოს“ — აღნიშნა საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა.

სოჭის ოლიმპიადისთვის მზადებამ და წინასწარი სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ უკვე მიაყენა საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებული ნაწილის (აფხაზეთის) ეკოსისტემას გამოუსწორებელი ზიანი. ინტენსიურად მიმდინარეობს აფხაზეთის სანაპიროს მდინარეებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით ინერტული სამშენებლო მასალების ამოღება (საჭირო რაოდენობა 100 მლნ. ტონას აჭარბებს). ამგვარი ქმედება გამოიწვევს სერიოზულ ნეგატიურ ეკოლოგიურ რყევებს. რასაც ემატება შემდეგი სამწუხარო რეალობა, რომ 90-იანი წლებიდან დასახელებულ ტერიტორიაზე აღარ ტარდება ნაპირდაცვითი ღონისძიებები და გაღრმავებულია სანაპირო ზოლის დესტაბილიზაციის პროცესი. ფაქტია, რუსეთი უხეშად არღვევს ოლიმპიური ქარტიის I თავის (ოლიმპიური მოძრაობა და მისი საქმიანობა) მე-2 ქვეთავის (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამოცანები და როლი) მე-13 პუნქტს, რომელშიც ცალსახადაა დაფიქსირებული, რომ „ნახალისებული და მხარდაჭერილი იქნას პასუხისმგებლობა და ზრუნვა გარემოს დაცვისადმი, სპორტის განვითარებისას უზრუნველყოფილი იქნეს ეკოლოგიური პრინციპების დაცვა და ოლიმპიური თამაშების ჩატარება ეკოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად“.

სიმპოზიუმის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს: საერთაშორისო ჩერქეზული საბჭოს თავმჯდომარემ იად იაღარიმ (აშშ), ყაბარდო-ბალყარეთის საზოგადოებრივი მოძრაობა „ხასე“-ს თავმჯდომარემ იბრაჰიმ იაგანოვმა, ჩერქეზ ქალბატონთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარემ ჯინა ჰაბუქმა (აშშ), თურქეთის სოციალური პასუხისმგებლობის კორპორატიული ასოციაციის ხელმძღვანელმა სერდარ დინლერიმ (თურქეთი), ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა ვიტოლდ როდკიევიჩმა (პოლონეთი).

ღონისძიება დაფინანსდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2012 წლის საკონფერენციო გრანტით.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან თსუ და ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი. სიმპოზიუმი 13 ივლისს დაიხურა.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET-აისეტი) მეხუთე თაობის ეკონომიკის მაგისტრების გამოშვების ცერემონია გაიმართა. ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ეკონომიკის მაგისტრის წოდება 27 სტუდენტს მიენიჭა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ საუკეთესო მაგისტრანტს ალა ავოიანს valedictorian-ის (ვალედიქტორიანის) სერტიფიკატი გადასცა. სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ მაღალი აკადემიური მოსწრების მაგისტრანტები გივი მელქაძე და ნინო დოღონაძე, სპეციალურ სერტიფიკატები მიიღეს საუკეთესო თეზისების ავტორმა სტუდენტებმა, ხოლო ISET-ის 2012 წლის კლასის ლიდერს, ქეთევან მცურავიშვილს ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ ზურაბ ჟვანიას სახელობის პრიზი გადასცა.

როგორც თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა, უკვე მეხუთე წელია ეს სკოლა ამზადებს ძალიან მაღალი დონის ეკონომისტებს. „მოხარული ვარ რომ თსუ-ს გააჩნია ასეთი ძლიერი ბაზა. ISET-ში სამი ქვეყნის საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები სწავლობენ. მომავალ სასწავლო წელს ველოდებით სტუდენტებს ირანიდან, ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან“, — აღნიშნა რექტორმა.

საუკეთესო მაგისტრანტის ალა ავოიანის თქმით, „ISET ამიერკავკასიაში საუკეთესო სკოლაა ეკონომიკის დარგში. აქ ჩამოდიან პროფესორები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, რომლებიც გვიკითხავენ კურსებს. ISET გვაძლევს საშუალებას შემდეგ სწავლა გავაგრძელოთ უცხოეთში. მე მივდივარ ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. ბევრი მიდის პრაღაში. სხვა კურსდამთავრებულები, რომლებიც რჩებიან საქართველოში, იმუშავებენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებში“.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ISET-ის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ სწავლა ნიუ-იორკის, სტენფორდის, ჩიკაგოს, პენსილვანიისა და სხვა დასავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტების დოქტორანტურაში განაგრძონ. მიღებული გამოცდილების და ცოდნის შედეგად კურსდამთავრებულები სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებში წამყვან თანამდებობებზე დასაქმდებიან.

მაგისტრებისთვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი არჩილ მესტვირიშვილი, ამერიკის სავაჭრო პალატის აღმასრულებელი დირექტორი ჯორჯ ველტონი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი და აისეტის კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტი გიორგი ბაქრაძე, ნინო ქადაგიძე-ჟვანია და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური



სექტემბრიდან ყველა სტუდენტი დაეზღვევა

დაზღვევა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა მთავრობის მთავარ პრიორიტეტს შორის დასახელდა. ჯანმრთელობის დაცვის მიზნით 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან 3 მილიარდი ლარი გამოიყოფა. ჯანდაცვის სამინისტრო მოსახლეობის მეტად ინფორმირებისთვის ბანერებს ყველა კლინიკაში განათავსებს. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით 2012 წლის 1 სექტემბრიდან ყველა სტუდენტი დაეზღვევა. აღნიშნული ინიციატივით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბათუმში სტუდენტებთან შეხვედრისას გამოვიდა და მიმართა სტუდენტებს „მაინცადამაინც არ გჭირდებათ სამედიცინო მომსახურება, ღმერთმა არც დაგაჭიროთ, მაგრამ შეიძლება ბევრი სწავლისგან თვალები გეტკინოთ ან ფეხი გადაგიბრუნდეთ, ამიტომ საჭიროა თითოეული თქვენგანის დაზღვევა“...

სტუდენტური დაზღვევა იმ პროგრამის ნაწილია, რომელიც ყველა მოქალაქის დაზღვევას ითვალისწინებს. 2012 წლის 1 სექტემბრიდან ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა გავრცელდება: 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვებზე, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალებსა და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცებზე (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.

ახალ სადაზღვევო ინიციატივაზე ვესაუბრეთ ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების დეპარტამენტის უფროსს მაია კუბლაშვილს.

ნანა ღირსიაშვილი

— რას მოიცავს სტუდენტური სადაზღვევო პაკეტი?

— საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილების ფარგლებში სტუდენტების დაზღვევა ამოქმედდება 2012 წლის 1 სექტემბრიდან და დაზღვეული იქნება ყველა საქართველოს მოქალაქე, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად. ასევე, დაზღვეული იქნება საქართველოს მოქალაქე პროფესიული სტუდენტი, რომელიც სწავლობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 და მე-5 საფეხურებზე და ის პირები, რომლებიც სწავლობენ პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გარდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლეებისა.

— რას ითვალისწინებს სტუდენტების ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები?

— სტუდენტების ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, რომელთაც დაფარავს მზღვეველი. მომსახურებაში შედის: სასწრაფო სამედიცინო მომსახურება; სამედიცინო ტრანსპორტირება; სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ გაწეული მომსახურება და, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ჩვენებით პაციენტის ჰოსპიტალიზაციის უზრუნველყოფა — შესაბამისი პროფილის უახლოეს კლინიკაში კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვა, ადგილზე რეფერალური ბრიგადის მიერ გაწეული კონსულტაცია, მდგომარეობის სტაბილიზაცია, გართულებული შემთხვევების სამედიცინო ტრანსპორტირება (სპეციალური აპარატურით აღჭურვილი რეანიმობილით); ამბულატორიული მომსახურება (გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პირველადად ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმთან მიმართვის საფუძველზე); ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის და ექთნის მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციით უზრუნველყოფა (მხოლოდ აცრა-ვიზიტი); ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რისკ-ფაქტორების შეფასება; პრევენციული ღონისძიებები; დაავადებათა დიაგნოსტიკა და მართვა; პალიატიური მზრუნველობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურება ბინაზე (კომპეტენციის ფარგლებში); ექიმ-სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით; ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე ინსტრუმენტული გამოკვლევები: ელექტროკარდიოგრაფიული, ნებისმიერი ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევები (რენტგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, მამოგრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია) — კომპიუტერული ტომოგრაფია ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან.

მომსახურებაში ასევე შედის: ამბულატორიულ დონეზე ყველა სახის სამედიცინო ცნობების, დასკვნებისა და რეცეპტების გაცემა, მათ შორის, ინკურაბელური პაციენტებისათვის ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების რეცეპტების გაცემაც (გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ფორმა IV-100/ა, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შენახვის/ტარების უფლების მისაღებად წარსადგენი ცნობებისა); გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული სპეციფიკური შრატებითა და ვაქცინებით მომსახურების უზრუნველყოფა); სტაციონარული მომსახურება: გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, მათ შორის, ინფექციურ დაავადებებთან და ინკურაბელური პაციენტების პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია, გართულებულ ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია; გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი), ასევე, გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული (პერიოპერაციული) ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები – სადაზღვევო წლიური ლიმიტი 15 000 ლარი. ითვალისწინებს 20%-იან თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან.

დაზღვევის გზით შესაძლებელია ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და დიაგნოსტიკა, კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია, აგრეთვე, ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები – სადაზღვევო წლიური ლიმიტი 15 000 ლარი. ითვალისწინებს 20%-იან თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან.

სადაზღვევო ლიმიტი 500 ლარი გათვალისწინებულია მშობიარობაზე (საკეისრო კვეთის ჩათვლით) – რაც ასანაზღაურებელი თანხის 20%-ს შეადგენს.

— სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებულია თუ არა ქიმიოთერაპია და მედიკამენტები?

— სტუდენტთა სადაზღვევო პაკეტში გათვალისწინებულია ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და დიაგნოსტიკა, კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია, აგრეთვე, ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები – სადაზღვევო წლიური ლიმიტი 15 000 ლარი. ითვალისწინებს 20%-იან თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან.

— ჯანდაცვის სადაზღვევო პროგრამის მიხედვით არის თუ არა გათვალისწინებული დაავადებათა ადრეული გამოვლენა და ასაკობრივი რისკ-ჯგუფები?

— დაავადებათა ადრეული გამოვლენა და ასაკობრივი რისკ-ჯგუფები გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის 92 დადგენილებით დამტკიცებული „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამით, რომლის მოსარგებლეებად განისაზღვრებიან სახელმწიფო დაზღვევის ფარგლებში დაზღვეული ბენეფიციარებიც.

შეგახსენებთ, რომ სტუდენტები სპეციალური სტუდენტური ფასდაკლების ბარათით ასევე ისარგებლებენ სხვადასხვა შეღავათებით, კერძოდ, მგზავრობის, ბარებში, სუპერმარკეტებში, საბანკო მომსახურებისა და კომერციული ოპერაციების დროს.

მულტიმედიის ცენტრი — იდეების ლაბორატორია

„სტუდენტთა სტაჟირების გავლის მიზნით ჩვენ გვაქვს გაფორმებული რამდენიმე მემორანდუმი ტელევიზიებთან, მაგრამ ეს ნაკლებად ეფექტურია სასწავლო პროცესისთვის. სწორედ ამიტომ გაჩნდა საუნივერსიტეტო ინტერნეტ-ტელევიზიის შექმნის იდეა, რაც კიდევ უფრო განვავითარეთ და დავაარსეთ მულტიმედიის ცენტრი. ცენტრს, რომელსაც სატელევიზიო სივრცეში გამოცდილი პროფესიონალი პროდიუსერი რუსუდან ვაშაკიძე უხელმძღვანელებს, სავარაუდოდ, სექტემბერ-ოქტომბერში ავამუშავებთ”, — აღნიშნა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

პირველი გვერდიდან

უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი ცენტრის ფუნქციონირებაზე დიდ იმედებს ამყარებს და მიაჩნია, რომ მისი ამოქმედება უნივერსიტეტში სტუდენტთათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის პრობლემას მოხსნის.

მულტიმედიის ცენტრის ხელმძღვანელს რუსუდან ვაშაკიძეს გაცხადებული გეგმების გარდა სხვა არაერთი საინტერესო იდეაც აქვს, რომელსაც ცენტრის ამოქმედების შემდეგ განახორციელებს.

„მულტიმედია ცენტრის საქმიანობაში ჩართვა შეეძლებათ როგორც ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს, ასევე, სხვა ფაკულტეტის სტუდენტებსაც. ამ მიმართულებით ძალიან საინტერესო პროექტები და იდეები გვაქვს და ვფიქრობ, რომ ჩვენი მიდგომა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში კომუნიკაციისა და, ზოგადად, ფაკულტეტებისა და სტუდენტების ინტეგრირების პროცესს. ვფიქრობთ, გავაკეთოთ შემეცნებითი გადაცემები; გადავიღოთ დოკუმენტური ფილმები, რომელიც უნივერსიტეტთან იქნება დაკავშირებული; უზრუნველვყოფთ რამდენიმე ლექტორის ლექციისა და სტუდენტთა საინტერესო კვლევის ვიზუალიზაციას; დავუთმობთ ასპარეზს ყოფილ უნივერსიტეტელებს; იქნება თოქ-შოუები; მოვაწყობთ შეხვედრებს ლექტორებთან, საინტერესო ადამიანებთან... ამ ყველაფერს უნივერსიტეტის სტუდენტები გააკეთებენ. მულტიმედიის ცენტრი იქნება ერთგვარი სასწავლო ლაბორატორიაც, სადაც ისინი პრაქტიკას გაივლიან. კარგი პროდუქცია დაიდება ვებ-გვერდზეც. ჩვენ გამოვაცხადებთ კონკურსებსაც და თუკი, მაგალითად, ფიზიკოს სტუდენტს სატელევიზიო გადაცემის კარგი იდეა გაუჩნდება, მასაც მივცემთ თვითრეალიზების საშუალებას.

მოკლედ, კონცეფცია და სტრუქტურა მზად გვაქვს. ცენტრს ეყოლება რამდენიმე მოწვეული თანამშრომელი, ძირითად ბირთვს კი სტუდენტობა წარმოადგენს. რამდენადაც ცნობილია, ჩვენ უკვე ოქტომბრიდან შევუდგებით მუშაობას“, — აღნიშნა მულტიმედიის ცენტრის დირექტორმა რუსუდან ვაშაკიძემ.

ცენტრის დაფინანსების წყაროებად დებულებაში მითითებულია: უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება; გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები; ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისთვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები და კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია

ნანა ღირსიაშვილი

28-29 ივნისს თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში გაიმართა პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემა გახლდათ: „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი და მხარდამჭერი ორგანიზაციები: გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენციაზე გაიმართა პლენარული სხდომა და შემდეგ იგი 5 თემატურ სექციად დაიყო: ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და საერთაშორისო ეკონომიკის, ბიზნესის პრობლემებისა და სექტორული და რეგიონული ეკონომიკის სექციად.

ქართველ მეცნიერთა გარდა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საზღვარგარეთის 40 წარმომადგენელი.

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ კონფერენციის გახსნის დროს აღნიშნა, რომ კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვას ეკონომიკის სფეროში, ვინაიდან გლობალიზაციის არასწორი მიმართულებით განვითარება შესაძლებელია კაცობრიობისათვის კატასტროფით ან ეროვნული თვითმყოფადობის განადგურებით დამთავრდეს. მან გამოთქვა რწმენა, რომ კონფერენცია კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო დონის ამაღლებისკენ, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს აქ იმყოფებიან აღიარებული მეცნიერები, რომლებიც თავის გამოცდილებასა და პრაქტიკული კვლევის შედეგებს გაგვიზიარებენ.

ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში; თანამედროვე ეტაპზე თავბრუდამხვევი ტემპებით მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია; ხორციელდება მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირება და მათი არნახული დივერსიფიკაცია; ძლიერდება უნიფიკაციის ტენდენცია ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში; ხორციელდება მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელის დივერსიფიკაცია; ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციონალურ გაფორმებას. მათი გადაწყვეტილებები სულ უფრო ხშირად ხდება იურიდიულად აუცილებელი ნომინალურად სუვერენული სახელმწიფოებისათვის; გლობალიზაცია შეიჭრა შიდასახელმწიფოებრივ სფეროშიც და თანდათან ხდება შიდა ცხოვრების ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობებს; ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არ აქვთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან; სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ებმება გლობალიზაციის პროცესებში, ყალიბდება გლობალური ცივილიზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ.

მან დაახასიათა გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ისაუბრა გლობალიზაციის მომავალზე.

გლობალიზაციის პირობებში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მომსახურების სფეროსა და სამრეწველო ფირმების საექსპორტო საქმიანობის ურთიერთკავშირის ლიბერალიზაციის საკითხებზე ისაუბრა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ბერულავამ.

საყურადღებო იყო პლენარულ სხდომაზე უკრაინის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების დარგთაშორისი ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის იგორ ბრიტჩენკოს მოხსენება, რომელიც ეხებოდა ბიზნესგანათლების მდგომარეობას უკრაინაში. მან შედარებები გააკეთა უკრაინის ამ სფეროში საქართველოსა და სხვა ევროპულ ქვეყნებთან და აღნიშნა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები ამ კუთხით იმყოფებიან ძალიან დიდი კონკურენციული წნეხის ქვეშ და ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია ამ ბიზნესგანათლების სფეროში ინოვაციური მიდგომების დანერგვა.

განვითარებული გლობალური ფინანსური კრიზისის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმაზე — სავალუტო კრიზისზე ისაუბრა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვლადიმერ პაპავამ.

ოკეანის პარამეტრის შეფასების ეკონომეტრიკულ პრობლემებს ეძღვებოდა თსუ-ის სრული პროფესორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის იური ანანიაშვილის მოხსენება.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ავთანდილ სულაბერიძემ თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა ოჯახის ტრანსფორმაციის პრობლემებზე საქართველოში.

ლიტვაში საპენსიო სისტემის რეფორმის საკითხებზე, მოსახლეობის დაბერებასთან კონტექსტში, ისაუბრა ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლის ასოცირებულმა პროფესორმა, ეკონომიკის დოქტორმა ლარისა ბელინსკაიამ. მან ეს პრობლემები განიხილა ევროპულ ქვეყნებთან მიმართებაში, გლობალური კრიზისის პირობებში.

ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა, ეკონომიკის დოქტორმა გინდრა კასნაუსკიენემ ეს პრობლემები უფრო დააკონკრეტა და დეტალურად განიხილა ეკონომიკური გამოწვევები ლიტვის მოსახლეობის დაბერების ტენდენციებსა და თავისებურებებთან მიმართებაში.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, ასევე, საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს უცხოელმა მეცნიერებმა: ვალენტინა ორლოვამ (უკრაინა), ნატალია რადმა (უკრაინა), არტურას ვიტასმა (ლიტვა) და სხვებმა.

პლენარული სხდომის შემდეგ გაიმართა სექციური მუშაობა, და ბოლოს გაიმართა კონფერენციის მუშაობის შემაჯამებელი სხდომა. როგორც საზღვარგარეთელი, ისე ქართველი მეცნიერების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ კონფერენცია ჩატარდა მაღალ მეცნიერულ დონეზე და რომ აუცილებელია კონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებათა, წინადადებათა და დასკვნათა საფუძველზე შემუშავდეს რეკომენდაციები, რომელიც დაეგზავნება შესაბამის ინსტანციებს. ამისათვის შეიქმნა რეკომენდაციების შემმუშავებელი კომისია.

კონფერენციის მეორე დღეს გაიმართა პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. სხდომას უძღვებოდა ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე, რომელმაც ისაუბრა პროფესორ გიორგი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სხდომაზე მოგონებებით გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ვლადიმერ პაპავა, ლეო ჩიქავა, ავთანდილ სილაგაძე; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: მიხეილ ჯიბუტი, ავთანდილ სულაბერიძე, იური ანანიაშვილი; ეკონომიკის დოქტორი დემნა კვარაცხელია და სხვები.

კონფერენციის მსვლელობის დროს გაიმართა კულტურული ღონისძიებები.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კონფერენცია, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ ეკონომიკის ინსტიტუტის, არამედ მთელი უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობენ საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების განვითარებასა და მეგობრული ურთიერთობების გაძლიერებას ხალხთა შორის.

სტუდენტის თვალით

საზოგადოებრივ თემებზეც უკვე ვფიქრობ

ლელა კვანტალიანი

წარმატებულ, კრეატიული იდეების მქონე სტუდენტს საკუთარი თავის დახასიათება უჭირს. ფიქრობს, რომ შრომისმოყვარე არ არის, თუმცა მიზანდასახულობა მისი ერთ-ერთი თანმდევი თვისებაა. თუ თავში იდეა მოუვიდა და რაღაც ჩაიფიქრა, აუცილებლად განახორციელებს. პუნქტუალური ნაკლებადაა და ეს ინტერვიუსთვის დათქმულ დროსაც გამოავლინა. ყველაზე მთავარი, დადებითი თვისება, რაც გააჩნია და თავადაც ამბობს, სიკეთის კეთებაა. „როდესაც ადამიანს ეხმარები, არ უნდა ფიქრობდე იმაზე, რომ შემდეგ მანაც კარგი უნდა გაგიკეთოს. შეიძლება დაკარგო დრო, მაგრამ სხვას ხელი ყოველთვის უნდა გაუმართო", – ამბობს მიხეილ გაბელია. სწორედ ეს არის სოციუმის იდეა — საზოგადოების ურთიერთდახმარება. მისი შექმნილია სტუდენტებისთვის ცნობილი და საყვარელი ვებ გვერდი — socium.ge მიხეილ გაბელია წელს ამთავრებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.

იხსენებს, რომ საკმაოდ ჭირვეული ბავშვი იყო, მაგრამ ყველა სურვილს უსრულებდნენ, სურვილები კი, ძირითადად, სუპერგმირების სათამაშოების ქონას უკავშირდებოდა. სკოლაში ჩხოროწყუს რაიონში სწავლობდა, 9 კლასის ატესტატის აღების შემდეგ კი სწავლა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ლიცეუმში გააგრძელა. როდესაც უნივერსიტეტში ჩააბარა, უფრო „ჩაკეტილი" იყო, ვიდრე მშობლიურ სკოლაში.

ახლა, როდესაც რამდენიმე წლის წინანდელ წარსულს უბრუნდება და მას დღევანდელობას ადარებს, თამამად ამბობს: „მე, პატარა მეგრელი ბიჭი, რომელიც მხოლოდ ინტერნეტითა და ვირტუალური სივრცით ვიყავი დაინტერესებული, წარმოიდგინეთ, რომ ახლა საზოგადოებრივ თემებზეც ვფიქრობ".

პროფესიის არჩევის პროცესს მიხეილ გაბელია იუმორით იხსენებს: „პროფესიის არჩევის გადაწყვეტილება „ქართულად" მივიღე. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს დიპლომატიურს უწოდებდნენ. რაიონში უნდოდათ ერთი დიპლომატი და მეც ამიტომ ჩავაბარე. ეს უფრო ოჯახის გადაწყვეტილება იყო, რადგან კარგად არ მქონდა გაცნობიერებული — რას ნიშნავდა დიპლომატიური საქმიანობა. უფრო მეტად გატაცებული ვიყავი ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და კომპიუტერებით".

საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებაზე ჩაბარების მსურველთა რიცხვი იმ წელს, როცა აბარებდა, საკმაოდ მაღალი იყო, სწორედ ამიტომ კონტინგენტის შესარჩევად კონკურსის წესით ინგლისურის გამოცდა დაინიშნა. მიშამ, დაწესებულ ზღვარზე — 71 ქულაზე ერთი ქულით ნაკლები მიიღო და პოლიტოლოგიაზე ჩაირიცხა. თუმცა, მისი პროფესიის შეცვლის პროცესი ამით არ დასრულებულა. იგი დიდი სითბოთი იხსენებს ლექტორებს, რომლებმაც მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვეს: „მახსოვს პირველი ლექცია, რომელიც მარინე ჩიტაშვილმა ჩაატარა. მან მიმახვედრა, რომ ჩემი საქმე ფსიქოლოგობა არ იყო და ჩემი თავი მაპოვნინა. აგრეთვე, განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ბატონმა მალხაზ მაცაბერიძემ, ბოლოს კი, ბატონმა ამირან ბერძენიშვილმა, რომელმაც გადამაწყვეტინა კიდევ ერთხელ შემეცვალა მიმართულება და სოციოლოგი გავმხდარიყავი. გარდა პროფესიონალიზმისა, მას სტუდენტებთან იმდენად უშუალო და მეგობრული დამოკიდებულება აქვს, რომ მაშინვე მივხვდი, რომ ამ ადამიანთან ერთად ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება".

მიშა გაბელიამ ამირან ბერძენიშვილთან ერთად მართლაც შეძლო კარგი საქმის გაკეთება. socium.ge-ს დაარსების იდეა მან ბატონ ამირანს 2007 წელს გაანდო და აღმოჩნდა, რომ ამირან ბერძენიშვილსაც ჰქონდა მსგავსი აზრი. სწორედ, მათი ერთობლივი ძალებით შეიქმნა socium.ge „საიტის შექმნისთვის საჭირო ფინანსები მან თავად გადაიხადა, ხოლო კომპიუტერის სიყვარულიდან გამომდინარე, ტექნიკურად ყველაფერი მე გავაკეთე. დავიწყეთ მასალების დამუშავება და განთავსება", — ამბობს მიშა გაბელია.

საიტი ნელ-ნელა უფრო და უფრო პოპულარული გახდა. ასე რომ, 2007 წელს დანერგილმა იდეამ გაამართლა და პროექტმა ხალხი შემოიკრიბა. დღეს უკვე ამ საიტის განვითარებაში, როგორც თავად მიხეილ გაბელია აღნიშნავს, 15-მდე ადამიანი მონაწილეობს.

„socium.ge ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტის პროექტია, მისი დირექტორია ბატონი ამირან ბერძენიშვილი, მასში სხვადასხვა პროექტზე განსხვავებულები აზროვნებისა და განათლების 15-მდე ადამიანი მუშაობს.

„საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისათვის" — ეს ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი უნდა ეცადოს, რომ საზოგადოება უკეთესი გახდეს.

მიზანი ამართლებს გზებს

მიხეილ გაბელია: „მიმაჩნია, რომ მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალება არ არის გამართლებული. რაც უნდა კარგი მიზანი დავისახო, ჩემთვის მიუღებელია ვინმესთვის ბოროტების გაკეთება, რადგან ჩადენილი ბოროტება ყოველთვის იჩენს თავს. თუმცა, ზოგჯერ, შენგან დამოუკიდებლად მაინც ხდება ისე, რომ ვინმე შეიძლება უკმაყოფილო დარჩეს ან ერთი საქმის გაკეთებით სხვას რაიმე ზიანი მიადგეს. ერთი რამ კი თამამად შემიძლია ვთქვა: წარმატებისთვის ვინმეს დაზარალების პრინციპით არასოდეს ვხელმძღვანელობ".

მიშა ჯერ 22 წლისაა და იგი საზოგადოების დიდმა ნაწილმა უკვე გაიცნო, როგორც socium.ge-ს შემქმნელი, თავად კი თვლის, რომ — „ამ ეტაპზე ჩემს ყველაზე დიდ წარმატებად საუნივერსიტეტო მარკეტინგული კონკურსი — „მისია 2011" მიმაჩნია. ამ კონკურსისთვის ძალიან ბევრი ვიმუშავე და იმ კრეატიულმა იდეებმა, რაც მასში ჩავდე, გაამართლა", — აღნიშნავს მიშა გაბელია.

ცხოვრება უნივერსიტეტის მიღმა

„ვერთობი ბილიარდის თამაშით, სპორტიდან მიყვარს: ფეხბურთი, ჩოგბურთი... კალათბურთს ჯერჯერობით კარგად ვერ გავუგე. მიყვარს ავტომობილები, მაინტერესებს საბრძოლო იარაღები.

შეყვარებული არ მყავს. ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია, როდესაც პირადი ცხოვრება და საქმე ჰარმონიულად არის ერთმანეთთან შერწყმული. თუ ოჯახი გყავს, კარგია, როდესაც რჩევებს გაძლევენ, მათთან ერთად იდეებს განიხილავ, თუმცა, როგორც სოციოლოგიაში ვისწავლე, შენი სამსახურეობრივი პრობლემები ოჯახში შესვლამდე უნდა დატოვო. თუ ადამიანს იუმორის გრძნობა გაქვს, მაშინ პრობლემებს შედარებით ადვილად გადალახავს.

ვფიქრობ, არ არის ძნელი პირადი ცხოვრებისა და საქმის შეთავსება. მაქსიმალურად ვცდილობ — დრო სწორად გავანაწილო", — გულახდილად საუბრობს მიშა პირად სამყაროზე.

სამომავლო გეგმები

მიშა გაბელია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფალ აზროვნებას, კამათის კულტურას. „კამათში ჭეშმარიტება ადვილად დასანახი ხდება და ეს საზოგადოების განვითარების საწინდარია. ვინ არის მართალი და მტყუანი — ამას დრო აჩვენებს, ამიტომ, რაც უნდა მიუღებელი იყოს ადამიანის სოციალური და პოლიტიკური მოსაზრება, მისი მოსმენა უნდა შევძლოთ. თუ არ ეთანხმები, შეგიძლია გამოთქვა ალტერნატიული აზრი. თვითმიზანი არ უნდა იყოს ის, რომ სხვას დაუმტკიცო, რომ შენ მართალი ხარ".

„მინდა, მომავალში ჩემი პროფესიით ვიმუშაო. კვალიფიკაციის ამაღლებას საზღვარგარეთაც ვფიქრობ", — ასეთია მიშას გეგმები, თუმცა ამბობს, რომ წინასწარ არაფრის დაგეგმვა არ უყვარს, რადგან, შეიძლება, ნებისმიერმა მარტივმა ნიუანსმა შეცვალოს დაგეგმილი ცხოვრება.

ПРОФИЛИ

მცდელობა ადამიანების სიტყვით განკურნებისა

ლელა კვანტალიანი

ადამიანის მომავალს და მის კარიერას ხშირად ბავშვობის გატაცებები, ოჯახური ტრადიცია, აღზრდა და ოჯახის წევრთა ინტერესები განაპირობებს. ასე მოხდა ქალბატონი ხათუნა ჩარკვიანის შემთხვევაში. იგი დღეს ჟურნალისტიკის დოქტორია და ფიქრობს, რომ მისი წარმატებების მიღწევაში დიდი როლი სწორედ ოჯახმა ითამაშა.

ქალბატონი ხათუნა ბავშვობიდან დაინტერესებული ყოფილა ჟურნალ-გაზეთების კითხვითა და საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიით. მისი ამ კუთხით ინტერესი კი სამომავლოდ წარმატებული კარიერით დაგვირგვინდა.

„ჩემი ჟურნალისტიკაში მოსვლა, შეიძლება ითქვას, ჟურნალ-გაზეთების ძალიან დიდმა სიყვარულმა განაპირობა. ზოგად განათლებაზე ზრუნვა ჩვენს ოჯახში პირველი პრიორიტეტი იყო. გაზეთებს ვიწერდით — ეს ერთგვარი რიტუალი იყო ჩვენს ოჯახში. მე კი ამ გამოწერილ გაზეთებს ჩავუჯდებოდი და სულ ვკითხულობდი. მახსოვს ბავშვობის პერიოდში გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამოდიოდა, რომელიც შემდეგ გადაკეთდა „ახალგაზრდა ივერიელად“. ყოველთვის ვცდილობდი, მაქსიმალური ინფორმაცია მიმეღო. განსაკუთრებით მაინტერესებდა ქვეყანათმცოდნეობა, ანუ ეს ნიშნავდა საერთაშორისო ჟურნალისტიკისკენ სწრაფვას. ამ ინტერესიდან გამომდინარე სკოლაშიც უფრო დიდ ყურადღებას ვუთმობდი გეოგრაფიას, ისტორიას, უცხო ენებს. სხვადასხვა ქვეყნებზე პატარა რეფერატებს ვამზადებდი, მასწავლებლებიც და ბავშვებიც დიდი ინტერესით მისმენდნენ ხოლმე.“

იგი დღემდე ამაყობს თავისი სკოლით და ფიქრობს, რომ რუსთავის №10 საშუალო სკოლამ დიდი როლი ითამაშა მისი ინტერესების ხელშეწყობასა და პიროვნების ჩამოყალიბებაში. „არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა, ყოველთვის საშუალებას მაძლევდნენ მათთვისაც გამეზიარებინა ის სიახლე, რასაც ვიგებდი. ხომ შეიძლებოდა, ჩემს ინტერესებს შემოქმედებითად არ მიდგომოდნენ... მაშინ, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს დავკარგავდი, ეს ყოველივე ხომ ჩემი თვითრეალიზებითვის ხდებოდა.“

იმ პერიოდში, როდესაც საქართველო ე.წ. „რკინის ფარდით“ იყო განცალკევებული დანარჩენი მსოფლიოსგან და ქვეყანა „პერესტროიკისთვის“ ემზადებოდა, ხათუნა ჩარკვიანი ცდილობდა მელორ სტურუას ჟურნალისტური გამოცემებიდან მაქსიმალური ინფორმაცია მიეღო. „მელორ სტურუა იმ პერიოდში შეერთებულ შტატებში მოღვაწეობდა. მისი ნაშრომების შესწავლით ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე. საინტერესო იყო, როგორ აღწერდა იმ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ ასე გვიმალავდნენ...“ — იხსენებს ქალბატონი ხათუნა.

რომ არა სამყაროს შეცნობისა და საზოგადოებრივი თემებისადმი უსაზღვრო ინტერესი, ხათუნა ჩარკვიანი დღეს შეიძლება ექიმი ყოფილიყო. ექიმ დედას დიდი სურვილი ჰქონდა, ხათუნა მის პროფესიას გაჰყოლოდა, მაგრამ ხათუნამ მალევე დაარწმუნა, რომ იგი აუცილებლად ჟურნალისტიკაში უნდა წასულიყო. „პროფესიის არჩევისას დედას ვუთხარი – „შენ ხომ მკურნალობ მედიკამენტებით, მე კი ადამიანებს სიტყვით ვუმკურნალებ“.

იმ პერიოდში, ჟურნალისტიკაზე ჩაბარებამდე, აუცილებელი იყო ორი წლის სამუშაო სტაჟი ან ოქროს მედალოსნობა. მიუხედავად იმისა, რომ მედალოსნობის კანდიდატთაგან ერთერთი იყო, მეგობრობა არჩია და მედალი დათმო.

ამის შემდეგ მის ცხოვრებაში ძალიან საინტერესო პერიოდი დაიწყო. მბეჭდავ-კორექტორისა და შტატგარეშე კორესპონდენტის ამპლუაში სტაჟირება გაიარა. ეს იყო რუსთავის ქიმიური კომბინატის საქარხნო გაზეთი „აზოტი“ და გაზეთი „სოციალისტურ რუსთავში“.

რადგან იმ პერიოდისათვის ლიტერატურას, ძირითადად, რუსულ ენაზე ეცნობოდა და, ამასთანავე, დიდი სურვილი გააჩნდა კულტურათა ურთიერთობების გაცვლისა, მოინდომა „ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში“ ჩაებარებინა, რომელიც საერთაშორისო უნივერსიტეტი იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ამ უნივერსიტეტში ახალგაზრდები ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებიდან სწავლობდნენ, ეს საერთაშორისო სივრცე ძალიან საინტერესოდ ესახებოდა. მოსკოვში მარტო ჩასული უკან მალევე დაბრუნდა, რადგან „ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში“ პარტიულ სტაჟს ითხოვდნენ. მაშინ, როდესაც, საქართველოში სულ სხვა ტიპის ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო, მიხვდა, რომ პარტიული სტაჟის ქონა მისთვის, გარკვეულწილად, სასირცხვილო იქნებოდა.

პირველი ნაბიჯები უნივერსიტეტში

გადაწყვეტილება შეიცვალა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა. „რადგან რუსულ ენაში ვიყავი მომზადებული, გადავწყვიტე, უნივერსიტეტში რუსულ სექტორზე ჩამებარებინა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა. ლექციებს მიკითხავდნენ არაჩვეულებრივი პედაგოგები: გოგა რაზინსკი, ირა ბიჭიკაშვილი, ნინო მახარაძე, ალექსანდრე ალექსიძე, ნატა თათარაშვილი, როდამ კოკელაძე. თუმცა ანალოგიურად არაჩვეულებრივი ურთიერთობები მქონდა ქართული სექტორის პედაგოგებთანაც: ბატონ ნოდარ ტაბიძესთან, ელდარ იბერთან, მამია ებრალიძესთან, ქალბატონ დალი ჩიკვილაძესთან.

იმ წელს უნივერსიტეტმა ჩვენს კურსზე თავისუფალი მიღება გამოაცხადა. ძალიან ბევრი სტუდენტი მოსკოვიდან ჩვენთან გადმოვიდა. როდესაც პირველად მოვედი ლექციებზე, გაოცებული დავრჩი: ჩემს ჯგუფში სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ: მადაგასკარიდან, კამბოჯადან, მექსიკიდან, იემენიდან, ინდოეთიდან, პერუდან... ჩემი სურვილი ასრულდა და კულტურათა გაცვლის არაჩვეულებრივი საშუალება მომეცა“, — იხსენებს სტუდენტობას ხათუნა ჩარკვიანი.

ქალბატონ ხათუნას სწავლის პერიოდი, შეიძლება ითქვას, გარდამტეხ, რთულ და, ამასთანავე, საინტერესო დროს მოუწია. სწორედ მაშინ დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. საგნები, რომლებიც უნდა ესწავლათ (საბჭოთა პერიოდთან დაკავშირებული), აღარ შეესაბამებოდა იმ დროს. ამ საპასუხისმგებლო მომენტში ლექტორებმა ეფექტური გადაწყვეტილებები მიიღეს: სტუდენტებს „გარეთ“ გასვლა და ინფორმაციის თავად მოძიება და მოტანა დაავალეს. ქალბატონი ხათუნა დღეს ემოციებითა და კმაყოფილებით იხსენებს ამ პერიოდს: „ეს ძალიან დიდი გამოწვევა იყო, როგორც სტუდენტებისთვის, ისე ლექტორებისთვისაც. ჟურნალისტიკა ხომ რეალობის ასახვაა. როგორ შეიძლებოდა, რომ ჩვენი სფერო არ ყოფილიყო ამ პერიოდში ჩართული. დავიწყე ილიას პუბლიცისტური წერილების კითხვა, რომელიც დროს უძლებს. ეს პერიოდი, რა თქმა უნდა, „გადაარჩინა“ ილიამ, ნიკო ნიკოლაძემ, იმ თხზულებებმა და შედევრებმა, რაც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს“.

ხათუნა ჩარკვიანი ფიქრობს, რომ მაშინდელმა ჟურნალისტებმა არაჩვეულებრივად მოახერხეს დროისთვის ფეხის აწყობა. „მაშინ გამოდიოდა „ახალგაზრდა ივერიელი“, გაზეთი „თბილისი“, „დრონი“, „შვიდი დღე“, რომელიც მაშინდელმა უნივერსიტეტელებმა დააარსეს. ეს იყო დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქართული ჟურნალისტიკის ჩამოყალიბების დრო. ეს პერიოდი განძია, რომელიც ნამდვილად გამოსაკვლევი და შესასწავლია“.

მოგზაურობისა და მსოფლიოს შეცნობის პერიოდი

ხათუნა ჩარკვიანის ცხოვრებაში დაიწყო მოგზაურობისა და მსოფლიოს შეცნობის პერიოდი, ჟურნალისტურ გამოცდილებათა ულევი გზა...

„უნივერსიტეტიდან წავედი პოლონეთში, დიდ ბრიტანეთში... დიდ ბრიტანეთში „მშვიდობის ფონდიდან“ გავემგზავრე, რომლის ხელმძღვანელიც ჩემი ლექტორი ალექსანდრე ალექსიძე იყო. ვმუშაობდი გაზეთ „შვიდ დღეში“, საიდანაც ჟურნალისტური გაცვლის პროგრამით მიმავლინეს შეერთებულ შტატებში. ორი თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, ლოს-ანჯელესში, სენტ ლუისში. და ვმუშაობდი, როგორც დამოუკიდებელი ჟურნალისტი, შეხვედრები მქონდა სენატორობის კანდიდატებთან, ინფორმაციის მინისტრ ჯოზეფ დაფთან. შიშიც მიპყრობდა, შევძლებდი თუ არა ამხელა ქვეყანაში თავი გამერთმია ჩემი საქმიანობისთვის, როგორც დამოუკიდებელ ჟურნალისტს. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამის შესაძლებლობა შტატების მთავრობამ და საელჩომ მომცა. ეს მათგან გამოწვდილი ხელი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მზად იყვნენ — კულტურული და გაცვლითი პროგრამებით დაეწყოთ ურთიერთობა ახალგაზრდებთან. ეს შესანიშნავი შანსი და პრაქტიკა იყო ჩემთვის.“

ხათუნა ჩარკვიანი

ამას მოჰყვა, „მწვანეთა მოძრაობის“ გაზეთში „დედამიწა“ მუშაობა, რომელსაც ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა. ხათუნა ჩარკვიანი ფიქრობს, რომ ზურაბ ჟვანია მის ცხოვრებაში გამორჩეული ფიგურა იყო, რომელმაც დიდი კვალი დატოვა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ჟურნალისტიკიდან სახელმწიფო მოხელეობამდე

მას შემდეგ, რაც „მწვანეთა პარტია“ პარლამენტში შევიდა, ქალბატონი ხათუნასთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში საინტერესო გზა გაიხსნა. ჟვანიამ მას „წვანეთა პარტიის“ სპიკერობა და პრესმდივნობა შესთავაზა.

„ვუთხარი, რომ მინდოდა შევმდგარიყავი, როგორც ჟურნალისტი, პარტიაში მუშაობა კი იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის გემოს ვეღარ გავიგებდი. ჩვენ დავრჩით მეგობრებად, თუმცა ჩვენი თანამშრომლობაც არ გაწყვეტილა. როდესაც 1995 წელს ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარე გახდა, პარლამენტის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელობა მე ჩამაბარა. შემდგომში ეს სამსახური უფრო გაფართოვდა, შემოემატა სატელევიზიო ჯგუფი, მოვიდა არაჩვეულებრივი ჟურნალისტი სულხან მელაძე და ჩვენ შევძელით, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დანერგვისათვის მიგვეღწია. ქვეყანაში რეალურად დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი“, — ამბობს ქალბატონი ხათუნა.

ხათუნა ჩარკვიანისთვის პარლამენტში წასვლა ერთგვარი შოკი იყო. ამბობს, რომ მისი თვითმიზანი პოლიტიკაში ყოფნა არასოდეს ყოფილა, რადგან ყოველთვის მშვენივრად ახდენდა პიროვნული „მე“-ს თვითრეალიზებას“. დამოუკიდებელი ჟურნალისტის სტატუსის დათმობა უჭირდა, რჩევა კოლეგებს ჰკითხა: „არასოდეს დამავიწყდება ხათუნა მაისაშვილის სიტყვები, როცა მან მითხრა: ზურაბ ჟვანიას მესამე თვალი აქვს, იგი ყოველთვის ხედავს ადამიანების ფუნქციას და იმას სთავაზობს, რისი გაკეთებაც ადამიანებს შეუძლიათ. შენ უნდა თქვა კი, რადგან ჩვენ გვეყოლება ჩვენი ადვოკატი პარლამეტშიო. ამ სიტყვებმა საოცარი ძალა მომცა. ვერავინ იტყვის, რომ მე, ჩემს, როგორც ჟურნალისტის ფუნქციას, ვუღალატე. სახელმწიფო სტრუქტურებს ყოველთვის ვაწვდენდი მედიის ხმასა და პრობლემებს. დამოუკიდებელი ჟურნალისტიდან სახელმწიფო მოხელედ გადავიქეცი — ეს ჩემს ცხოვრებაში საკმაოდ საინტერესო პერიოდი იყო“.

1998 წელს „იუსტიციის საბჭოში“ გადავიდა, სადაც პასუხისმგებელი იყო სასამართლო რეფორმის დაწყებასა და წარმართვაზე. ქალბატონი ხათუნა გამუდმებით ცდილობდა ყოველ რეფორმას ხელი შეეწყო მედიისთვის.

ამას მოჰყვა არაერთი ვიზიტი საზღვარგარეთ: შეერთებული შტატები, შვედეთი, ბრიტანეთი, სადაც მონაწილეობას იღებდა საპარლამენტო კულტურის განვითარებასთან დაკავშირებულ კონფერენციებში.

1999 წლიდან 2001 წლამდე ნიუ-იორკში ცხოვრობდა. ფიქრობს, რომ შტატებმა მასზე გარკვეული კვალი დატოვა: „შვიდჯერ ვარ ნამყოფი ამ ქვეყანაში და, ბუნებრივია, ძალიან კარგად ვიცნობ ამერიკულ კულტურას, იქაური ცხოვრების წესს. იქ რასაც კარგს ვნახავდი, ყოველთვის მინდოდა გადმომეტანა ჩემს ქვეყანაში. ვფიქრობ, ამითი ჩემს სტუდენტებსაც ვადგებოდი, რადგან მათთვის ახალი ინფორმაცია ჩამომქონდა არა მხოლოდ პირადი შთაბეჭდილებების სახით, არამედ იმ პროგრამების, იმ კვლევების შესახებ, რომელთაც იქ ვეცნობოდი.

იმ პერიოდში, როცა სტაჟირება მქონდა გაეროში, პარალელურად რადიო „ფორტუნას“ კორესპონდენტის სტატუსიც მქონდა. შტატებში ვიყავი მათი კორესპონდენტი და რადიოში მქონდა პირდაპირი ჩართვები. ჩემს ცხოვრებაში ეს ძალიან ნაყოფიერი პერიოდი იყო, რადგან მსმენელს ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივაწოდე.

2000 წელს ნიუ-იურკში გაეროს ეგიდით ათასწლეულის სამიტი გაიმართა. ალბათ, სიმბოლური იყო, რომ საუკუნის „დასასრულს“ ნიუ-იორკში შევხვდი, ახალი ათასწლეულის შემობრძანება კი თაიმსქვერზე აღვნიშნეთ. ეს ახალი წელი მართლაც განსაკუთრებული იყო. იშვიათად იმართება ასეთი შეხვედრები, რომელსაც, დაახლოებით, 150 ქვეყნის პრეზიდენტი და ამდენივე პრემიერ-მინისტრი ესწრება. საქართველოს დელეგაციაც ძალიან ღირსეულად წარსდგა ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. მე, როგორც ჟურნალისტი, რადიოსთვის ვაშუქებდი ამ მოვლენებს. შეიძლება ითქვას, საერთაშორისო ჟურნალისტების რანგში ვიმუშავე — ეს ნამდვილად კარგი გამოცდილება იყო.“

საზოგადოების ინტერესების ადვოკატი

უწყვეტი აქტიური ჟურნალისტობის პარალელურად ხათუნა ჩარკვიანი ყოველთვის ჩართული იყო სამეცნიერო საქმიანობაში. სტუდენტებს გადასცემს დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. ეს შანსი 1994 წელს ბატონმა იაგო კაჭკაჭიშვილმა და ბატონმა ნოდარ ტაბიძემ მისცეს, რისთვისაც დღემდე მათი მადლიერია.

PR და მედია, ბეჭდური მედია, სოციალური საკითხების გაშუქება, ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში – ეს ის საგნებია, რომელთაც სტუდენტებს ასწავლის. ყოველ სემესტრში, დაახლოებით, 100 სტუდენტთან უწევს ურთიერთობა. გადასცემს იმას, რაც უნახავს და უსწავლია. „ფაქტი, წყაროთა ბალანსი, მიუკერძოებელი აზრი — ეს ის „ოქროს პრინციპებია“, რასაც უნდა ეყრდნობოდეს ჟურნალისტი. ეს არის პროფესია, რომელსაც თავგანწირვა სჭირდება, რომელიც თავის თავში მოიცავს საზოგადოების ინტერესების ადვოკატობას. ჟურნალისტიკა საზოგადოების სარკეა. ეს სარკე დღეს არ არის გამჭვირვალე და გაპრიალებული. ამაში იმას ვგულისხმობ, რომ დღეს ჟურნალისტიკას პროფესიული გამბედაობა, ზნეობრიობა აკლია ისევე, როგორც მთელ საზოგადოებას კონფორმისტული მომენტები შეეპარა. მედიას შეუძლია, საზოგადოების გაბედულებას (კარგი გაგებით) პროვოცირება და მეტი კონტროლი გაუწიოს, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. ეს არ უნდა იყოს კონტროლი კონტროლისთვის. ამას ვასწავლი ჩემს სტუდენტებს და მიხარია, რომ გულისყურით მისმენენ ხოლმე. მათთან ურთიერთობა საოცარი მუხტია, რაც ჩემთვის ნამდვილად სასიამოვნოა სასარგებლოსთან ერთად“.

ჩვენ ქალბატონ ხათუნას სწორედ სტუდენტებთან ურთიერთობისას შევხვდით. მათ შორის მართლაც დიდი სიყვარული და პატივისცემა იგრძნობოდა. 13 ივლისს ხათუნა ჩარკვიანის ხელმძღვანელობით III კურსის სტუდენტების მიერ შექმნილი გაზეთ „ჟანგბადისა“ და ჟურნალ „პანორამას“ პრეზენტაცია გაიმართა. ქალბატონი ხათუნა ყოველთვის გვერდში უდგას მომავალ ჟურნალისტებს, ეხმარება მათ სწორი გეზის აღებასა და სირთულეთა გადალახვაში.

„ვისურვებდი, რომ უნივერსიტეტში შეიქმნას ისეთი სტუდენტური ჟურნალისტური პრეს-კლუბი, რომელიც კონკურენციას გაუწევს, ცნობილ პრეს-კლუბებს. ამ მხრივ ჩვენი რექტორისა და დეკანის დახმარების დიდი იმედი მაქვს. პრეს-კლუბში შესაძლებელი იქნებოდა აქტიური მსჯელობა და დისკუსიების წარმართვა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე“, — გვითხრა ხათუნა ჩარკვიანმა.

ხათუნა ჩარკვიანი რეალიზებული ადამიანია. კმაყოფილია, რომ მშობლების სურვილები გაამართლა და წარმატებულია.

„შეიძლება ითქვას, ბედნიერი ვარ, რადგან, რაც ჩაფიქრებული მქონდა, ყველაფერს მივაღწიე!“

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲐᲒᲘ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრის (დღეს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი) პროფესორი და ღვაწლმოსილი მეცნიერი ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲛᲑᲣᲠᲘᲐ. *პროფესორ გივი ჯამბურიას ამაგი ქართველოლოგიის დარგში შეუფასებელია. მან დაგვიტოვა არამხოლოდ ათეულობით სამეცნიერო გამოკვლევა თუ პუბლიკაცია, არამედ გაზარდა ისტორიკოსთა რამდენიმე თაობა, რომლებიც დღემდე აგრძელებენ აქტიურ მუშაობას ისტორიის კვლევის კუთხით.*

გივი ჯამბურია დაიბადა 1924 წლის 24 აგვისტოს ქ. სამტრედიაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1941-1946 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სპეციალობით, შემდეგ კი (1949 წლამდე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელი იყო ნიკო ბერძენიშვილი. სტუდენტობის დროს მას ჰქონდა ბედნიერება მოესმინა დიდი ქართველი მეცნიერების: სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩიტაიას, გიორგი ნიორაძის, შალვა ამირანაშვილის, კოტე ბაქრაძის — ლექციები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისი, როგორც მოქალაქის, პიროვნების, მეცნიერის ჩამოყალიბების საქმეში. 1951 წელს დისერტაცია დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (თემაზე „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან“), 1975 წელს კი — სადოქტორო დისერტაცია („საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის პირველ ნახევარში“). გივი ჯამბურია მუშაობდა ჯერ ისტორიის ინსტიტუტში, შემდეგ კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრაზე. იგი კითხულობდა საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს ისტორიის, ფილოლოგიის, ჟურნალისტიკისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე; ისტორიის ფაკულტეტზე ატარებდა სპეცკურსს ქართული ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობაში. მან მოამზადა შვიდი ასპირანტი, რომლებმაც დაიცვეს საკანდიდატო დისერტაციები (ორმა მათგანმა კი — უკვე სადოქტორო დისერტაციაც). მისი რედაქტორობით რამდენიმე მონოგრაფიაც გამოვიდა.

გივი ჯამბურია 60 სამეცნიერო ნაშრომისა და 100-მდე საენციკლოპედიო სტატიის ავტორია. მის ნაშრომთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ შრომებს:

- საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის პირველ ნახევარში (სადოქტორო დისერტაცია. დაბეჭდილია ცალკეული ნაწილები, ხოლო სრული სახით გამოქვეყნდა მოგვიანებით);
- ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სომხით-საბარათიანოს სათავადოები (თბ. 1955);
- გიორგი სააკაძე (თბ. 1964);
- სამთავრო-სენიორალური სისტემა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 227. თბ. 1982);
- „მოქალაქეთა“ საკითხისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. ტერმინ „მოქალაქის“ მნიშვნელობა საქართველოში (XVII-XVIII სს-ში). (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 246. თბ. 1984);
- იმუნიტეტი საქართველოში (VI-XIV სს.) (ნოდარ შოშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული „ანამკი“. თბ. 2002);
- ბატონყმობის საკითხისათვის (ჟურნ. „მაცნე“. № 4. თბ. 1979);
- ბატონყმობისაგან გათავისუფლების ფაქტები საქართველოში (XII-XIII სს.) (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 349. თბ. 2003);
- საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის პირველ ნახევარში (თბ. 2011) და სხვ.

მისი ნაშრომების ნაწილი 2007 წელს კრებულის სახითაც გამოიცა. (გივი ჯამბურია. ქართული ფეოდალიზმის საკითხები. თბ. 2007). ამ სტატიებში, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებათა გათვალისწინებით, ნაჩვენებია, რომ ქართული და დასავლეთ ევროპული ფეოდალიზმის მსგავსება სავსებით აშკარაა. ასეთი

ვითარება იყო საქართველოში მონღოლთა შემოსევამდე. შემდეგ ვითარება შეიცვალა. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ (რვატომეული) IV ტომში (თბ. 1973) დაბეჭდილია ნარკვევები: „სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს“; „ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის შესანარჩუნებლად XVII ს-ის პირველ მესამედში;“ „საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის 30-90-იან წლებში“. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ავტორთა ჯგუფთან ერთად 1982 წელს გ. ჯამბურიას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. არის ღირსების ორდენის კავალერიც. გივი ჯამბურია „თბილისის ისტორიის“ I ტომის (თბ. 1990) ერთ-ერთი თანაავტორიცაა. ამ გამოცემაში დაბეჭდილია მისი ნარკვევები:

- ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVII ს-ის პირველ მესამედში;
- ცვლილებები თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVII ს-ის 30-90-იან წლებში;
- ცვლილებები თბილისის სამოხელეო წყობილებაში XVI-XVII სს-ში;
- სოციალური ურთიერთობანი თბილისში;
- საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (კრებ. „ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში“. თბ. 1986);
- ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში (ჟურნ. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი). ნაკვეთი 35. თბ. 1963);
- ივანე ჯავახიშვილი (ჟურნ. „საბჭოთა ქალი“. თბ. 1966);
- ნიკო ბერძენიშვილის წვლილი გვიანსაშუალო საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში (კრებ. „ნიკო ბერძენიშვილი“ თბ. 1996);
- ზოგი რამ დავით გურამიშვილის საისტორიო პოემის შესახებ (კრებ. დედიცატიო, თბ. 2001);
- ლევან მუსხელიშვილი (კრებ. „ლევან მუსხელიშვილი“. თბ. 2001).

გივი ჯამბურიას გამორჩეული წვლილი მიუძღვის გიორგი სააკაძის ღვაწლის შესწავლისა და შეფასების საკითხში. მან მრავალი ბუნდოვანი საკითხი ახსნა ქართულ თუ უცხოურ ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობითა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით; დაადგინა სააკაძის ბიოგრაფიის მრავალი ახალი გარემოება, რომ საქართველოში შაჰ-აბას I-მა ილაშქრა არა ორჯერ, არამედ ოთხჯერ; ახსნა დიდი მოურავის შესახებ არსებული ორი დაპირისპირებული შეხედულების წარმოშობის მიზეზები და მეცნიერულადაც დაასაბუთა გიორგი სააკაძის ფასდაუდებელი დამსახურება სამშობლოს წინაშე. მისმა მონოგრაფიამ და ცალკეულმა წერილებმა გაფანტა ეჭვი და გაუგებრობა დიდი ისტორიული პიროვნების მიმართ და დამსახურებული ადგილი მიუჩინა გიორგი სააკაძეს საქართველოს ისტორიაში.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

„ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲠᲝᲛ ᲒᲘᲮᲐᲠᲘᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ ᲐᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲫᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲔᲑᲐ“

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ

უგონო შემთხვევითობამ ჭეშმარიტი ღვთისმოსავი წაგვართვა. არსებობს ტრაგედია ნანახი, გაგონილი, წაკითხული, განცდილი, მძაფრი და... გამაოგნებელი. აღმოჩნდა, რომ გამორჩეულის დაკარგვით უნდა გამოგვეცადა ეს ყველაფერი. ასე ინება განგებამ, ტკივილი მთელი სიმძაფრით რომ შეგვეგრძნო. მძაფრად შემოგვიტევს ხოლმე მწარე რეალობის შეუვალი განცდა, რასაც ნინოს გარეშე სიცოცხლის გაგრძელება ჰქვია...

უსაშველოდ გვენატრება... თავზარდაცემულნი ვერ ვეგუებით მის ხსენებას წარსულში. ვერა და ვერ მოვერგეთ უმისობას, სულ თვალწინ გვიდგას... გვხიბლავდა მომავლის მისეული ხედვა. დიდად ვისაკლისებთ მის სათუთ დამოკიდებულებას ჩვენდამი. ის სულ რაღაც 21 წლის იყო. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსზე სწავლობდა. ნინოს არსებობა ძალის მომცემი იყო ამქვეყნიურ მანკიერებებთან ბრძოლაში, ხოლო უფაქიზესი სულიერება ამავდროულად ბავშვის მიამიტობასთან იყო წილნაყარი. მისმა წასვლამ მიღმა სამყაროს იდუმალების წინაშე შიში გააქრო. უფლის მადლიერნი ვართ, ნინო სამხარაძის სიცოცხლით სავსე ცხოვრების ზიარი რომ გაგვხადა. მოუშუშებელი ტკივილით ცხოვრება უფრო ღირსეული ყოფილა ახალშეცნობილი მარადისობის გადასახედიდან. ღმერთს ვთხოვთ, შეგვაძლებინოს ნინოს და მისი ოჯახის ერთგულება. ნინო კი ამ ქვეყნის მიწას შეუერთდა და ის სიყვარული, რასაც ატარებდა, მას შეერწყა. მუდამ, მუდამ გვემახსოვრება...

ნინოს მასწავლებლები

თვალები სულის სარკეაო, ამბობენ. მართლაც განსხვავებული თვალები ჰქონდა, სუფთა, გაბრწყინებული... სიცოცხლის სავსე იყო, მარად მომღიმარი. მისი დაუდეგარი სული სიყვარულით ებრძოდა ადამიანების ყოველდღიურ სისუსტეებს, მანკიერებებს, სხვანაირად არც შეეძლო. ახლაღა ვხვდებით, რომ დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევდა — ჩვენთვის ნინო გამარჯვებასთან ასოცირდება... თუმცა ეს წუთისოფელი დიდხანს არავის ახარებს. უეცრად წავიდა და უსაზღვრო ტკივილი დატოვა...

უსაშველოდ გაიწელა და უსასოობაში გაილია მთელი წელი... მთელი ერთი წელი გავიდა ნინოს ღიმილიანი სახის გარეშე... თურმე, ადამიანი რომ მიდის, მასთან დაკავშირებული ყოველი მოგონება ძალიან მტკივნეული ხდება. იმასაც ამბობენ, ადამიანი იქამდე ცოცხლობს, სანამ მასზე მოგონებები იარსებებენო... ნინო, მისი ნათელი ხსოვნა ჩვენთან ერთად იცოცხლებს.

ნინოს კურსელები

ვერასდროს გავიმეტებ გავყიდო ან გავაჩუქო ჩემი ნაქარგები

ლელა კვანტალიანი

თამარ გელაშვილი ქარგვის საოცარი ნიჭის აღმოჩენის შესახებ ისტორიას ასე იხსენებს: „საზაფხულო არდადეგების ერთ საღამოს მოვინდომე გვირილის ამოქარგვა უბრალო საკერავი ძაფებით. თუმცა, ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო და არაფერი გამომივიდოდა. დილას, როცა დედამ მოქარგული გვირილა ნახა, მოეწონა. მეორე დღეს ფერადი მულინის ძაფები იყიდა, მომიტანა და მითხრა — ქარგვა ისწავლეო. ეს ერთგვარი სტიმული იყო ჩემთვის. თუმცა, მასწავლებელთან არ მივსულვარ, იმთავითვე ჩემეული ტექნოლოგიით ვქარგავდი. პირველი ნამუშევარი მარტივი იყო — ჩიტი ყვავილის ტოტზე".

თამარის დის ნათლია — ნინო მიქაძე საოცრად ქარგავს. სწორედ მისი ნაქარგები გახდა თამარის შთაგონების წყარო, რათა ხატები მოექარგა. როდესაც მიხვდა, რომ ქარგვა მისთვის გართობასა და უბრალო გატაცებაზე მეტს ნიშნავდა, პირველი სერიოზული ნამუშევარი — „გეთსიმანიის ბაღში უფლის ლოცვა" გახლდათ. ამ ნაქარგის შექმნას თამარი განსაკუთრებული ემოციით იხსენებს: „ჯერ ტილოზე გადმოვწერე ხატი შავი ფანქრით, შემდეგ ფერები შევუხამე. ვერ დავიცავი ეკლესიური კანონიკა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ მისწავლია. ქარგვის დროს უბრალოდ ვგრძნობდი, რომ უფლისგან მონიჭებული მადლი მეხმარებოდა კონტურების გამოკვეთაში". მას შემდეგ, რაც თამარმა ხატი ამოქარგა და საოცარი მადლის ძალა იგრძნო, ბუნების პეიზაჟებისა და ყვავილების ქარგვა დროის ფუჭად კარგვად მიიჩნია.

ქარგვისას დიდ სიამოვნებას იღებს. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამჟამად აქტიურად ვერ ქარგავს, მოუცლელობაა. თამარი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია. მაშინ, როდესაც ბაკალავრიატში ევროპათმცოდნეობაზე აბარებდა, კარგად ვერ აცნობიერებდა, თუ რას მოიცავდა ეს კურსი? რას ნიშნავს იყო ევროპათმცოდნე? როგორც ახლა იხსენებს, იგი უფრო მეტად კურსის სახელწოდებამ მოხიბლა, რადგან იცოდა, რომ: „ევროპაში მეტი თავისუფლებაა — ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით". ახლა თამარი ჟურნალისტიკის მიმართულებაზე მაგისტრატურას ამთავრებს. პროფესიის შეცვლა ერთერთმა ლექტორმა გადააწყვეტინა და როგორც თავად აღნიშნავს, მისგან ბევრი რამ ისწავლა, როგორც პროფესიული, ასევე, ადამიანური თვალსაზრისითაც.

„ერთხელაც არ გამიცდენია, იმდენად საინტერესო და სასარგებლო იყო კონსტანტინე ჟღენტის ლექციები. ბატონი კონსტანტინე კონფლიქტოლოგიას გვასწავლიდა. სწორედ მან მირჩია, რომ ჩამებარებინა ჟურნალისტიკაზე. ალბათ, ჩემში ნახა რაღაც ისეთი, რაც ჟურნალისტისთვის საჭიროა. არ ვიცი..." თუმცა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩაბარება არ იყო მხოლოდ რჩევების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება — „მიყვარს აქტიური ცხოვრება. ეს სპეციალობა გაძლევს საშუალებას — სხვადასხვა პროფესია მეტ-ნაკლებად შეითავსო. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტს საზოგადოებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია."

უნივერსიტეტს აქვს ასეთი ტრადიცია, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს აფინანსებს. თამარი სწორედ ამ სტუდენტთა რიცხვს მიეკუთვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეიძლება მას სწავლა ვერც გაეგრძელებინა.

თამარ გელაშვილი შემოქმედებითი ადამიანია. მისი ინტერესები მრავალმხრივია, უყვარს მუსიკა: კლასიკური, საგალობლები, ჯაზი და როკიც. ერთი პერიოდი მომღერლობასაც ფიქრობდა და მუსიკალურ სასწავლებელში სიმღერაზეც დადიოდა. ბავშვობაში განსაკუთრებით ხიბლავდა აუდიტორიის აპლოდისმენტები.

საგალობლების მოსმენა ქარგვის დროს ძალიან ეხმარება. იმედოვნებს, რომ მომავალში გამოფენის მოწყობას შეძლებს და თავის ნამუშევრებს საზოგადოებას გააცნობს. მისთვის ყოველი ნაქარგი ძვირფასია, რადგან მათში უდიდეს ძალისხმევასა და მონდომებას აქსოვს. „ალბათ, ვერასდროს გავიმეტებ გავყიდო ან გავაჩუქო ჩემი ნაქარგები, თუმცა შავნაბადას წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში ინახება ერთი პატარა, წმინდა გიორგის ხატი, რომელიც ერთერთი მამაოს კურთხევითა და თხოვნით ამოვქარგე უძველესი ჭედური ხატის პერანგად".

თამარს ხელნაკეთი ნივთები უყვარს, განსაკუთრებით ეროვნული – ქართული, რომელიც დახვეწილი გემოვნებით, მდიდარი ფანტაზიით, ფერების ჰარმონიული შეხამებით, სხვადასხვა ნაციონალური ორნამენტებით გამოირჩევა.

თამარ გელაშვილს სურს, თავისი ინტერესის სფეროებში მაქსიმალურად გაერკვიოს და მცირე წვლილი მაინც შეიტანოს. „არ მინდა ვიყო მხოლოდ ერთ სფეროში გათვითცნობიერებული და განზე დამრჩეს სხვა, ის, რაც, თუნდაც უბრალოდ მაინტერესებს. მაგალითად, ფოტოგრაფიაც ძალიან მიტაცებს. მაქვს რამდენიმე ისეთი ფოტო, რომელიც მომწონს. მინდა პირველი ხელფასით (თუ ოდენობა საშუალებას მომცემს) შევიძინო ფოტოაპარატი და გადავიღო თუნდაც ქართული ხალხური ხელსაქმის ოსტატთა მიერ შექმნილი კომპოზიციები".

თამარ გელაშვილი მომავლის გეგმებს აწყობს და გატაცებებს თავის უნარს აქსოვს — არ შეიძლებოდა, ასეთი ნიჭისა და უნარის მქონე სტუდენტი უნივერსიტეტს არ გაეცნო.

სტუდენტური არდადეგები გამოცდების ციებ-ცხელების შემდეგ

ნანა ღირსიაშვილი

სტუდენტობა... წლები, როცა ცხოვრებასთან პირისპირ გადიხარ ასპარეზზე, გსურს და ცდილობ წარმატებული იყო, რომლისთვისაც შრომა, სურვილი და ძალისხმევაა საჭირო. ყოველი სემესტრის დაწყებას ახალი ძალებით, ახალი მისწრაფებებით ხვდები, რადგან მშობლების ხშირად ნათქვამი სიტყვები – „სტუდენტობის წლები საუკეთესოა", – უმეტეს შემთხვევაში ამართლებს და შენც გიხარია ეს... თუმცა, სემესტრი დასასრულს რომ უახლოვდება, მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ დაღლას, რადგან წინ გამოცდებია და მანამდე დაგროვილი მასალა სწავლას (ზოგიერთ შემთხვევაში კი „შპარგალკისთვის" მომზადებას) ითხოვს... ეს ის პერიოდია, როცა ჩვენი თითქმის ყოველი მეორე წინადადებაა: „ეჰ, როდის დავისვენებთ", „ეს არდადეგებიც რომ არ მოვიდა"... როგორც იქნა, სააუდიტორიო მეცადინეობები დამთავრდა და გამოცდების ციებ-ცხელებაში ჩაერთო ყველა. წლის განმავლობაში საკმარისი დრო გვაქვს იმაზე ფიქრისთვის, თუ სად სჯობს დასვენება, როგორ გავატაროთ არდადეგები, როგორ დავტკბეთ თავისუფალი დროით – ასე ნანატრი დროით...

მაინტერესებდა, თუ სად აპირებდნენ სტუდენტები დასვენებას არდადეგებზე, როგორ გაატარებდნენ თავისუფალ დროს და, საერთოდ, მათი აზრით, რას ნიშნავს თავისუფალი დრო. საბედნიეროდ, XXI საუკუნეში გამოკითხვის მრავალი საშუალება თუ ფორმა არსებობს. მეც შანსი არ გავუშვი ხელიდან და გთავაზობთ ჩემი ჟურნალისტობის მცდელობის შედეგებს.

ლელა გოგოლაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტი:

— ***სად აპირებ დასვენებას?***

— დავამთავრე უნივერსიტეტი და ტელევიზიაში ვიწყებ სტაჟირებას, ნიუსრუმში ისეთი გრაფიკია, რომ ვერსად მოვახერხებ წასვლას და გული მწყდება. საერთოდ, დასავლეთ საქართველოში, სოფელში მივდივარ ხოლმე დასასვენებლად ნათესავებთან. ყოველთვის ვსტუმრობ ზღვასაც. ვკითხულობ წიგნებს, რასაც სწავლის პროცესში ვერ ვახერხებ.

— ***სად ისურვებდი დასვენებას?***

— ვისურვებდი ზღვაზე დასვენებას, სამეგრელოში ბებიასთან ჩასვლას. ძალიან მინდა დუშეთში წასვლა, რადგან იქ არასოდეს ვყოფილვარ და დიდი სურვილი მაქვს იქაურობის ნახვის.

მარიამ გიგაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტი:

— გამოცდებმა ძალიან გადამღალა, ეს წელი გადატვირთული მქონდა. არდადეგებზე ზღვაზე წასვლას ვაპირებ. თავისუფალ დროს ვარ სოციალურ ქსელებში.

— ***სად ისურვებდი დასვენებას?***

— მინდა მოგზაურობა ეგვიპტეში.

ნინო ჩიხელიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი:

— აგვისტოში ერთი თვით სურამში წავალ დასვენებას, შემდეგ ზღვაზე ვაპირებ დასვენებას მეგობრებთან ერთად. თავისუფალ დროს ვკითხულობ წიგნებს, ვუსმენ მუსიკას და დაკავებული ვარ ჩემი საყვარელი საქმიანობით — თევზაობით.

— ***სად ისურვებდი დასვენებას?***

— სიამოვნებით წავიდოდი საფრანგეთში და ეგვიპტეში.

თამარ გელაშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი:

— ***სად აპირებ დასვენებას?***

— ამ ზაფხულს ზუსტად არ ვიცი, თუმცა მეგობრებმა შემომთავაზეს, რომ ზღვისპირა რომელიმე ქალაქში ვიქირაოთ ბუნგალო და სასიამოვნო დასვენება მოვიწყოთ. თუ მოვახერხე ზღვაზე წასვლა, ძალიან გამიხარდება, მითუმეტეს ასეთი დამღლელი სემესტრის შემდეგ, როგორიც მქონდა.

ჩვეულებრივ ზაფხულობით სამეგრელოში მივემგზავრები. სოფელში ბებია და ბაბუა მხვდებიან, პატარა ბავშვივით ერთი სული მაქვს როდის ვნახავ მოხუცებს, იქაურობა ძალიან მიყვარს.

ანი სელენიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტი:

— ***სად აპირებ დასვენებას?***

— ზაფხულის არდადეგების გატარებას მეგობრებთან ერთად ზღვაზე ვაპირებ, რადგან ერთად კარგად ვერთობით. ზაფხულის მეორე ნახევარში სოფელში წავალთ, ვივლი მდინარეზე და ვითევზავებთ.

— ***სად ისურვებდი დასვენებას?***

— ძალიან მინდა სადმე საზღვარგარეთ წასვლა ნებისმიერ ქვეყანაში. განსაკუთრებით მინდა პარიზის ნახვა.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
სტაჟიორი ჟურნალისტები ლელა კვანტალიანი, ნანა ღირსიაშვილი
ფოტოკორესპონდენტი შოთა თუთბერიძე
კომპ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, მარიამ გერსამია, თეა ჯუღელი

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62